დანართი #1

2023 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შერჩევის მიზნით ჩასატარებელი შეფასების პროცედურები

მუხლი 1. აპლიკანტის უფლებები და ვალდებულებები

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შეფასების (შემდგომში - შეფასება) ჩატარების მიზნით, აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს სტუ-ში შეფასებისათვის განსაზღვრულ დროს და ადგილზე თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, საგამოცდო ბარათი.
2. აპლიკანტი არ დაიშვება შეფასებაზე დაგვიანების შემთხვევაში.
3. შეფასების პროცესის განმავლობაში აპლიკანტს უფლება აქვს თან იქონიოს:

ა) წყალი;

ბ) პირადი ჰიგიენის საგნები;

გ) საჭიროების შემთხვევაში სხვა ნივთები, სტუ-ის შესაბამისი შესარჩევი კომისიის წინასწარი თანხმობით.

4. შეფასების პროცესის განმავლობაში აპლიკანტს ეკრძალება:

ა) სოციალური დისტანციის დარღვევა;

ბ) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

გ) დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვათა გამოყენება, გარდა სტუ-ის შესაბამისი შესარჩევი კომისიის მიერ შეთავაზებული ნივთებისა.

მუხლი 2. შეფასების განმავლობაში წესის დარღვევა

1. შეფასების პროცედურის მიმდინარეობის განმავლობაში აპლიკანტი მიიღებს გაფრთხილებას ამ წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.
2. ამ წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში აპლიკანტი იხსნება შერჩევიდან.

მუხლი 3. აპლიკანტთა შეფასების მეთოდები და ეტაპები

1. შეფასების პროცედურა ტარდება სტუ-ის შესაბამის ფაკულტეტზე შემოქმედებითი ტურის ან მოტივაციური გასაუბრების ფორმით.
2. აპლიკანტმა უნდა შეასრულოს შეფასების ფორმის მიხედვით, მისთვის განკუთვნილი დავალება.
3. შემოქმედებითი ტური ტარდება საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ და წარმოადგენს „კოლაჟის შექმნას“, რომლის ხანგრძლივობაა 1 საათი.

4. შემოქმედებითი ტურის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი წარმოადგენს 25 ქულას მაქსიმალური ქულის ოდენობიდან (100 ქულა).
5. მოტივაციური გასაუბრება შედგება 6 ბლოკისგან და თითოეული ბლოკი ფასდება 0-4 ქულის ოდენობით.
6. მოტივაციური გასაუბრების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი წარმოადგენს 6 ქულას. თითოეული კომისიის წევრის შეფასების მაქსიმალური ქულა განისაზღვრება 24 ქულით.
7. მოტივაციური გასაუბრების ხანგრძლივობა თითოეული აპლიკანტისთვის შეადგენს არაუმეტეს 15 წუთს.
8. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ მოტივაციურ გასაუბრებაზე დაიშვება ის აპლიკანტი, ვინც სტუ-ს მიერ ჩატარებული ტესტირების საფუძველზე დააგროვებს არანაკლებ 25 ქულას.
9. აპლიკანტები, რომლებსაც რეგისტრაციისას მითითებული აქვთ სხვა ენა, არ მონაწილეობენ ტესტირებაში და ისინი მონაწილეობას იღებენ მხოლოდ მოტივაციურ გასაუბრებაში/ შემოქმედებით ტურში.
10. ფაკულტეტი ვალდებულია გამოყოს შერჩევის პროცესის ადმინისტრატორი და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი შეფასების პროცედურის შეუფერხებლად ჩატარებისათვის.
11. კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ აპლიკანტებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების და გასაუბრების შეფასების ფორმის მიხედვით.
12. შემოქმედებითი ტურის და მოტივაციური გასაუბრების ჩატარებისას სტუ უზრუნველყოფს პროცესის ჩაწერას, კომისიის ოქმის შედგენის მიზნით.
13. კომისია გასაუბრების შედეგად მიღებულ საბოლოო შეფასებას ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც მონაცემები დაგენერირდება თითოეული აპლიკანტის პერსონალურ ანგარიშში.